

1948

N 13. 1948 წ. გაბრძანის წელი XXV
თბილისი, გაბრძანის ქუჩა „ქობულეთი“
ფანი 2 ა.

Обязательный экземпляр

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არა სცხელა

ნახ. გ. თომშგილიძე

— როგორც კი წყალი შეწყდება, ჩვენი
გიგოს გარდა ყველა ოფლში ცურავს, ის კი
შესანიშნავად იტანს სიცხეს!
— ეგ ხომ წყალთა მეურნეობის სამმარ-
თველოს მუშაკია, გიგოს, წყლის შეწყვეტის
გამო, არცა სცივა და არცა სცხელა!

18/სთ 48
5
160

გადმორჩინა შუამავალი

პალესტინაში „შუამავალი“ ჩასული ბერნადოტი თავისი ორკოვული პოლიტიკით ხელს უწყობს ებრაელებსა და არაბებს შორის შუღლის გაღვივებას გაზეთებიდან

მხსენილი გ. მამ



გულჩვილია ბერნადოტი. მსურს ისრაელს „მიეშველოს“, ისე კი, რომ ამ ხის ნაყოფს აბდულამაც გაჰყრას კბილი, მაგრამ იგი ბრიტანეთმა შეიტკბოს და მოინელოს.

მოდის სამუდომოდ

სახალხო და საკათოლიკო

როგორც ინგლისური გაზეთი იუწყება, ბარონ მორისონის ქალიშვილის სახლში, რომელიც 20 ოთახისგან შედგება, მისი მორისონთან ერთად ცხოვრობს 60 ფრინველი და ოთხფეხი. გაზეთის ცნობით, განათლებული ქალიშვილის ოთხფეხი და ფრთოსანმა „მეგობრებმა“ შესანიშნავი სახლი მიიყვანეს სრულ ანტისანიტარიამდე.

იმავე გაზეთში ნაკლებ შესამჩნევად აღვიწერებ დაბეჭდილია მეორე, რედაქციის აზრით, ალბათ, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ცნობა, იმის შესახებ, რომ ვინმე დოქტორი პაინი უბინაობის გამო თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ცხოვრობს საქათმეში.

ქალის ხორცი მგროვიანობის

ცნობილმა ამერიკელმა გამომცემელმა მაკორმიკმა დამშეული ევროპის დასახმარებლად ამას წინათ გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ფურცლებზე რეკომენდაცია გაუქვითა ახალ, ორიგინალურ საშუალებას.

მაკორმიკი წინადადებას იძლევა დამშეული ევროპელები გამოჰყვებონ მექსიკური გარეული ძაღლებით. მაკორმიკი ძაღლის ხორცის დახასიათებისას იმოწმებს ამუნდსენის ავტორიტეტს და ამტკიცებს, რომ მექსიკური გარეული ძაღლის მწვადი გაცილებით უკეთესია ღორისა და ხბოს მწვადზე.

მექსიკური ძაღლების ევროპაში გაზიდვა, ამერიკელი „ქველმოქმედის“ აზრით, ორგვარ სარგებლობას მოიტანს: ერთის მხრივ, ცენტრალურ ამერიკაში გაქრება შავი ჭირის გამავრცელებელი მექსიკური ძაღლი, ხოლო, მეორეს მხრივ, კუჭდაცარიელებულ ევროპელების სუფრას „გემრიელი ძაღლის მწვადი“ დაამშვენებს.

მსახიობის მერ უკლებანი

„მარშალის გეგმის“ ანგარიშში ავსტრია უხვად იღებს თევზის კონსერვებს. ამ კონსერვებს თავად ამერიკაში, რა თქმა უნდა, არავინ არ სჭამს და იგი მხოლოდ მიწის გასანოყიერებლად იმარება.

ავსტრიული გაზეთის ცნობით, როცა ვენის მოსახლეობისათვის განკუთვნილი ამერიკული თევზის კონსერვი მიუტანეს არანაკლებ დამშეულ ვენის ზოოპარკის ცხოველებს, არც ერთი მათგანი ახლოსაც არ მიეკარა ამერიკულ საჩუქრებს.

ტანად-ბრგე და კისერ-მორგვა

(ერთი კოლმეურნეობის ერთი უძნარა წმინდის ამბავი)

ტანად-ბრგე და კისერ-მორგვა
დადის ბაყბაყ დევითა,
გეგონება: თუ ისურვა —
რკინას დაღებს კევივითა,

თანაც დასძენ: — რაღა უპირთ
კოლმეურნე ამხანაგებს,
ამ ჯან-ღონის კაცი, ალბათ,
ნორმებს მუდამ ახუთმაგებს.

ეს რომ ასე არ ხდებოდეს,
მაშ რად უნდა ეს ბრგე ლეში?
რა კაცობას დაიკვნენის
კოლმეურნე გლეხთა წრეში?

რა ნამუხით გადახედავს
შრომადღეთა დავთრის ციფრებს!
არ შერცხვება? „რა უქნარა
გყოფილვარ“ — ია არ იფიქრებს?

2

არა... თვითონ არ ირჯება
ამ მორალში ჩასაძირად, —
მის შეხახებ, ზემონათქვამს
ხალხი ფიქრებს მთლად, ერთპირად

და მთელ კოლმეურნეობის
ყველა წევრმა იცის კარგად,
რომ ტან-ბრგე და კისერ-მორგვა
მიტმანათ ზედმეტ ბარგად:

იციან რომ მუშაობის
საქმე მას ხელ არ ადარდებს
მუდამ რაში ხენს და ტკივილს
შრომის ხეწონს შეუფარდებს:

ხენის დროა და „წელი სტკივა“,
თონის დროა — „ხელი სტკივა“,
მოსავლის აღება —
ხედავთ, თურმე „გააცია“!

და ხელ ასე, ნაყი-ნუყით
გატარებს ფეხზე — თევზა,
და წლის ბოლოს მოაგროვებს
ოცოდვე შრომადღესა.

მაგრამ როცა შეჯამდება
კოლმეურნეობის შრომის ზედი,
ეს ტან-ბრგე და კისერ-მორგვა
გახლავთ ხელ სხვა ხანაზე,

დაფუტუხებს, დაბუზღუნებს:
— „აგრემც პაპას ხული ცხონდეს,
ა, იმ ჩია დედაკაცსაც
ჩემზე მეტი უნდა მქონდეს?“

ან ამ მოწარმებ? მე რომ მაგათ
ერთი ულაპით გავათავებ, —
ანგარიშში კი შრომადღეს
მათ შეხამებს ვერ ვათავებ!

რაო ჩემო? ხატრანნი
კაცი რომ ვარ — უნდა მიგრონ?
მე მათთან ბაყბაყს ვგავარ,
მათ კი — მეტი მოინაგრონ?“

3

ბევრჯერ უთხრეს და აუხსნეს
ტანად-ბრგეს და კისერ-მორგვას,
რომ ის უნდა დაეთხოვოს
ამ ბუზღუნს და ტუფელ ბორგვას,

რომ კოლმეურნეობაში
საქმესა სწავებს მხოლოდ შრომა
და ცუდფუტებს არ შერჩებათ
ცრუ პოზა და ქვეშ-ქვეშ ძრომა.

ზარსადანი



ჩაჩილი: გლეხს და გლეხს ნამგალო, ნამგალო ჩემო ჩინაო...

ჩაუოკრა და თავგდომარე

ერთ თავგდომარეს სარგებლიანი აზრი მოუვიდა:

—მოდი ერთს ვიზამ, —სთქვა მან, —ჩემს ძროხას მივიყიდი კოლმეურნეობას, შევიდითას მანეთს გავიყრავ და ერთი კარგ დროს გავატარებ!

სთქვა და აასრულა: ძროხა კოლმეურნეობის ფერმაში შეუშვა, გავაზე ხელი, მოუთათუნა და „სუქი-სუქიო“ დააყოლა.

ძროხა ფერმაში შეგოგმანდა, ბუღალტერიის ანგარიშებში კი თავგდომარის სახელზე გაფორმდა 7.000 მან. თანხა.

—რა მეჩქარება, —სთქვა თავგდომარემ, —ჯერ მოგიფიქრებ რა ვიყიდი ამ თანხით და ფულს მერე ავიღებ! —და ამ დარბაისლურ ფიქრებში იმდენი დრო გავიდა, რომ გაზეთებში ფულის რეფორმა გამოცხადდა.

—ვაი შენს თავგდომარეს! —გაიფიქრა თავგდომარემ, —ხედავ რას ამბობენ, ბიჭო? შეიდიასში შეიდასი მანეთი უნდა მიიღო, კუთაში უნდათ მომატყუონ? არა, ბიძაო, არა; მე რომ ამ კუთით მეველო, თავგდომარე კი აღარ ვიქნებოდი!

და მოიფიქრა:

—ჩემი ძროხა არ მიჩვენია? გასუქდა, გათქვირდა, კოლმეურნეობის საკვები ყელში ამოსდის და გიფი ვარ ფულში გავცვალო?

მოიფიქრა და ძროხა სახლში წამოაძუნტულა.

—კი, მაგრამ, შე ხებრო ჩემო თავო, ძროხამ რომ ამ ხანში ხბო მოიგო, კოლმეურნეო-

ბას უნდა შეარჩინო? ღარიბს უნდა წაართვა და მდიდარს მისცე? —დამატებითი ფიქრი მოუვიდა თავგდომარეს და ძროხის ნამატი ქრელი ხბოც ხელს გამოაყოლა.

გულმა მაინც არ მოუსვენა:

—კი მაგრამ ძროხა ხომ იწველებოდა და კოლმეურნეობას ჩემი ოხერი რად უნდა! —და მოუსვენარმა გულმა უფლებს მისცა კოლმეურნეობის 20 კილოგრამი ყველი სახლში წაეცუნტულებინა.

—ბიჭოს, ეს რა კარგი ყოფილა! —სთქვა იოლი გზით ნაშოვნი ქონებით გულსაუყებულმა თავგდომარემ და დამატებითი გეგმა შეადგინა, —მოდი ჩემ გამსდარ ღორს ფერმაში მივიყვან, ვითომ მივიყიდე და შემდეგ გასუქებულს უკან წამოვიყვან.

სთქვა და აასრულა.

—კი მაგრამ, რაღა მაგ ღორის გასუქებას ვუცადო, სხვა, უკვე მსუქანი ღორი რომ წავიყვანო, ხომ სულ ერთია!

და ღალატმოსხმული ღრუტუნა შინისკენ წააძუნტულა.

ახლა ქათმებს და ინდაურებს ათვალიერებს, ფერმაზე მისაყიდად ხომ არ გამომადგებაო და ათასნაირ გეგმას ადგენს. გეგმის შესრულების შესახებ კი მე ვეღარას გეტყვით, მაგაზე ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი და ამავე რაიონის სოფელ ქროლის კოლმეურნეობის თავგდომარე ერმილე შერგილაშვილი გიამბობთ.

გია

ეს ტრალიკული ამბავი ქალაქ ცხაკაიაში მოხდა, ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე. მშენებელი რი საღამო იყო. სრულიად მოულოდნელად ქალაქის ბაღი კვამლით გადაიხურა, წაფარფატდა ეს კვამლი და ბაღის კიდეებთან აღმართული სახანძრე რაზმის შენობა გაახვია კვამლში, გამოაღვიძა ძორიგე მეხანძრე, უკანასკნელმა თვალები მოიფშვინა, მაგრამ რაკი ამით ვერაფერს გახდა, პირქვე დაწვა, მკლავებში ჩარგო თავი და კვამლს გზა გადაუღობა ცხვირისა-მან.

ქალაქის გულში მეხანძრეთა რეზიდენციასთან სულ ახლოს, ხანძარი მძვინვარებდა, იწვოდა რომელიღაც საეკრო ორგანიზაციის საწყობი და დუქნები, ხანძრის გაჩენიდან სულ მცირე ხნის შემდეგ უბედური შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა ქალაქის მოსახლეობამ, სასწრაფოდ იწყეს ვედროებით წყლის მოტანა, დარაბების ჩამოსხმა, ჯერდაუწვავი ნივთების გამოტანა საწყობიდან, მაგრამ ხანძარი თანდათან ძლიერდებოდა. აცნობეს ფოთის, აბაშისა და სამტრედიის სახანძრო რაზმებს... ცხაკაიას მეხანძრეთა რაზმეული კი არსად სჩანდა, მათი შენობა კი წინანდებურად კვამლში იყო გახვეული.

როგორც იქნა ეშველა, გამოჩნდნენ და მოახრიგნეს ვეგერთელა კასრი, მაგრამ საუბედროდ კასრში წყალი არ აღმოჩნდა. წაახრიგნეს ისევ ეს კასრი ლელისკენ, რომელიც ცხვირის წინ ჩამოუდის სახანძრო რაზმის შენობას, როდის-როდისა და აავსეს და ხენე-შითა და ვაი-ვიშით მოათრეეს ხანძრია ადგილზე... მაგრამ უკაცრავად, სრულიად არ ჩქარობდნენ ხანძრის ჩაქრობას.

წესრიგი!


წესრიგის დაცვა აუცილებელია და მეხანძრეებმაც აქედან დაიწყეს, გარევეს მოსახლეობა, აუკრძალეს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობის მიღება, მერე კასრს მიამაგრეს შლანგი და დაიწყეს წყლია მისხურება ხანძრისათვის. ორი შენობა უკვე დამწვარიყო. იმდღა-გრა ხანძარმა და ალი შემოანთო მესამე შენობასაც და, წარმოიფხვინა, მეხანძრეებსაც გაუჩინა ხანძარი... დიახ, ისეთი გახიზნებულ იყო შლანგი და მეხანძრეებსაც ისეთი გახიზნებული „სპეცოვები“ ეცვათ, რომ შენობაზე უფრო სწრაფად მეხანძრეთა შლანგი და ტანსაცმელი იწვოდა. ახლა ისევ შეიქნა საჭირო მოსახლეობის მონაწილეობა, ისევ მოზიდეს ვედროებით წყალი და აღწაქიდეზულ მეხანძრეებს აქრობდნენ...

საქმის დამთავრება მაინც აბაშისა და სამტრედიის მეხანძრეებს ხვდათ წილად, —მათ შლანგების საშუალებით საბოლოოდ ჩაუქრეს ხანძარი ცხაკაიელ მეხანძრეებს და მერე მიეტანენ დანაცრებულ შენობას. ცხაკაიას მეხანძრეთა რაზმის ერთ-ერთმა ინსპექტორმა საიდუმლოდ განმცხადა, რომ იგი ასეთ მშვიდ და წყნარ ამინდში სრულიად არ ელოდა ხანძარს, თორემ... მომხარაგებდა წყალს, ცხადია, თავდაცვის მიზნით.

კვირისი გაუპიკრავილი

ოჩხაკი სიმაღლე

საავეჯო არტელები უშვებენ უხარისხო ავეჯს, რომელიც ძვირად ფასობს.



— ჩვენმა არტელმა ეს დაბალი ბუფები იმიტომ გამოუშვა, რომ მყიდველი ადვილად შესწვდეს.

— ბუფები რომ მაღალი ყოფილიყო და ფასი დაბალი, მყიდველი უფრო ადვილად შესწვდებოდა!



— ჩაო არის ახე პატარა ესკიზი?
— გაუჩნდია და ზომ იცით სიციხისგან უს-
ველი საგანი იკლებს!



შეუფერხდა მათმე ბუზის საწარმადი რომ ვერ
იშვია, ბუზებს სამი დღის კატალები მიუღდა —
ცხლა ზომ დახსენებო!



ტრეტის პულატერს ვაო გადინდაფაფს
იხე ესააფონა ვენტილატორის ხოი, რომ ჩაქმინა...
და ხისმარსო ეგონა მოსკოვისკენ ხანგრძლივ მიე-
ღინებოში მიპროდა თვითმფრინავი.



კლუბის ეტარაფე კონფერანსიემ ისეთი ძველი ანეკდოტი სთქვა, რომ
მაყურებლებს სირცხვილი იფლი დახასა.



ამინდის ბიუროში სიციხისგან აპარატო მიაშ-
ლა და გამეფე თანამშრომელს გადამხასა — მარო,
ჩაქერე, ხელო წყნა მოვა, მერცხლები დალა და-
ფრინავეფ.

ნაცნობი კაცი

ჩვენი სახლის წინ თავი მოყარა მგზობლებს.
დიდსა თუ პატარას სარხალთურ უცნობებდა თვა-
ლები. ბოზინა აჯივრებულს ჩვენი ქუჩის თიხითა და
წარბებით იოვასაფე დაძინა დიღუბი კანაღდაკიის
გასაყვანად.

მალ-მალად კაცი დროდადრო იღლინა ამი-
რჩილ „საქაქ“ ფერფელად და ბრწყინებო მზი და-
სახიდა მუწუხს.

— ნავარ მწუხს შორის წე წაიღებო, დროს წე და
კარგავთ, მინავარია მალე გაგვარა თბილისი! — იგი
დინჯავი გახურებულა მუწუხს, ტყუილად კმყოლებს
გვარავა დაწყებული საქმე.

სამ დღში ჩვენი ქუჩა გადამხარეს, მწუხს გარე-
ბი დადგნენ და გრთო კვირის შემდეგ კანაღდაკიის
მიღები ჩაქმნეს.

— ამ ნავარ მწუხს, ბიძო, აქედან სულ მალე გე-
ვახეზნტბილდები! — ღიბილთი სთქვა ცუცოზმა კაცმა,
მუწუხი დაოზრა, წაყიდა და წაყიდა...

ერთი თვის შემდეგ კინაღლი დაიღუბეს, ვინაღლი
ჩვენი შედგულე პლანიზმისა და იოვადრა, ჩვენი
გარევის წინ აღმართულ რუბ გრავაზე ფხი აფილეს
და ბარს გაბრალ ბრძნით თვადგინა ჩაქმე. ჩო-
კოლეოთ ვიკ-გაგაღებო ამოვიყვანეთ.

— წესზე რაღას უფიქრო, ჩო არ გაქმნდეს ქე-
ჩა, გრთო სი უცნობი კაცი მანგანა, სა პირით შეშო-
გვადგეს, გე იოო მისი დაპირებო! — ბუნებრივად ლო-
გინად გახანგრძლი ჩვენი დიდგაკი.

გარევისგან უკლებლივ მიმართო ჩაიონილ საბჭოს აღ-
მასკოთ, იქ ჩვენივეს ტყე ნაცნობი კაცი დაფხვდა,
მან საივადილთი ოდენად აწვია და ღიბილთი დინჯავი
სთქვა:

— სამწუხაროა, მაგრამ მე მიწვენი, ალბათ სიბე-
რეშ უფალბა თქვენს დიდგაკის, თორემ ქუჩისა კა-
ვარები და დასაბურველი არა არის რა... — შუბს ოთხ-
არ იოოს, გვე შევედგენ ჩვენი ბრძნის ბრძნებში.
ნაცნობმა კაცმა თავიანთი გაფხიშვადილ თვლი და
მწუხს გვიმოიქმნობი დასრულებსაფე დაპირადა,
კეთილად დაღებო, თუგნო...

ა. მონიგინი

როგორც მოხუცად სვინაო...

სარე მინისტრთა საბჭოს ბეგისის დაფიქრებით.
კოლმეურნეობისა თაყუჯდომი იფხვს შრომადილ მკ-
რებათი მიზნულად მოსაღება და აღზრდილ მოქმედ
ფორმედეს ჩაიღვრებო, მიღედით.



— შენი გულადი დამოკიდებულებით, ჩვენი ზიზა,
ჩვენი წიწილები ხმა დაფა საკუთარი ჩესტსებო
დაიან იოლად; კი არ გეწინას და ახე თუ მოგვქმნის,
ჩვენგან ვერაფერს მიიღებ და შენე საკუთარი რეზრ-
ხებით იოლად წახლე მოგაყვას!

უნივერსალი

კოსტას მერსახელად უნივერსალს ეცა-
ხიან.

ის მართლაც უნივერსალური კაციო.

— პენიკლინი გენებაფო! შე კაცო, რა
მეზბა მუერე! — და უნივერსალი პენიკლი-
ნის საგველანთან წერილს მიგიწერო.
— სასამარლოში საქმე წაგებო — წამოსი-
ღება ვინმეს უნივერსალის გასაცინად.

— ვინ გააჩინა? — იმ წუთში ჩაერევა
უნივერსალი და ყველა მოსამართლის გეგარს
ზებრად ჩამოვიდით, — გაგაცეთებ!

ერთი სიტყვით მოკლავს უნივერსალს
თავი ძველ იურიტილად მოაქვს და უსინდი-
სით ამტკიცებს, რომ ვისაც უკუი აქვს,
ქრთამზე უარს არ იტყუებ!

ამას წინათ, საღამო ხანს, რუსთაველის
გამზირზე, ჩქარი ნაპირით მომავალი უნი-
ვერსალი ჯიქივით მეცხვით:

— შენ გეშველა ბებრამ, რამდენი ხანია
დაღებო, ერთ ოჯახს შერი დაპირებდა უნ-
და, პურმაროლი უკვე მზად არის, გადაღმევენ
პირდაპირ, რომ არ მოვიყვანო. ხმას არ გაე-
ცემიო.

ვინ არიან? მაშინვე ვკითხე.
მოვიღო და მშინ გაიგებ, რა გექმ-
რება!

არ მეცალა, ურბი ვუთხარი.

კეკეანა რომ იქცეულეს, უნდა წამოხ-
კლდე; შე კაცო, იმდენი პურმაროლი რომ
უქმად ჩაქტარო, გე ხოი ოჯახის დაღუბვა!
პურმაროლმა იმდენად არ გეწიო, რამ-
დენდაც ცნობისმოყვარეობა.

ერთ უცნობ სახლში შემევიანა, უცნობ
კარბზე დაგაცენა, და უცნობმა მასპინელ-
მა შინ შეგვიპირე.

წუთში ფაიკ-ფუიკი შეიქნა, სამზარე-
ლოში მიზინი შეუქნა და მაგიდა სხვადა-
სხვადიდა აქრულდა.

ჩემს ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ
ქმნდა. ალბათ მოულოდნელ რამეს მიმ-
ზღებეს უნივერსალი, ვეფერბოდი გუნება-
ში და გულის თანყქალით მოველოდი ვინმე
ახლოვებთან მხედვრად.

მაგრამ როცა მასპინელმა კეკე აიღო
და საღვერტლო ჩემგან დაიწყო, საბოლო-
ო დაღიწეს და რაიმეს შეკითხვას სიჩქრე
ვაშოვინე.

ღვინის ცოტას ესვადი, მაგრამ მაინც
შემთბო.

კეკეი რომ დასასრულს მიუხალოდა,
ოთხივეს ვიკაც ქალიშვილი შემოვიდა და
გამაცეს:

— აი ეს გახალთ, ბატონო, ჩემი ქალიშვი-
ლი, თვენი მისი მომავალი სტუდენტ!

ღვინისგან გავითლებულს სირცხვილი
სიწითელ ალარ მამტუკობი. უნივერსალმა
სამჯერ ზღვიდარ ჩამოკრა თვალი, რაც იპას

ნიშნავდა, რომ სია არ უნდა ამოიღო.
— ხო, კაცო, კორასთან მომყოლა უნდა,
შენ მასთან, ის სახესილი, ხომ იცი, რო-
გორ ღებულობს სტუდენტებს... ზაგვეს კოლ-
და აქვს, მე თვითონ გამოცადე და ზოგი
სავანი თითქმის ხუთზე იცის. ისე რომ გრ-
თი ხუთიანი თუ ჩვენი მხრიდან დატრ-
ბი.

ალბა, გაეცთებო. ხომ იცი, ჩვენი გორცია,
ჩვენი და გრთო რამის ხათრით, თუ გინდა
კლდეზე გადამადებო... მასპინელო ჩანა-
ლა, ღვინო გავსიკ ჩქარა ჩქარა... — სიმღერის
წამოწვევით დაამთავრა უნივერსალმა.

ორ-ორი კეკე კიდე შეგსვით და მოლს-
ლასე სტუდენტები. შენი ჭირივით! გამო-
გვისტუმრა მასპინელმა.

კაცო, კოსტა, რატომ მომჭირი თავი
იმ ხალხში? — ვკითხე უნივერსალს.

— შე კაცო, გაქვიდე, ხომ არ მიცემიარ!

— მერე? ის კაცი ვიღაცაა, ჩემი ძმა რომ
არ არის?

— აბა რა მეოქვა, ოქროსავით პურმა-
რილს ვეკარგე!

— იმ მაგრამ, იცნობ იმ კაცს, გორცია
თუ ვიღაც ჯანდანი?

— აბა, შეგი საქმე არა მაქვს...

— მაშ რაოგარ გინდა უმალდესში მია-
ღებინო?

— საგნები იცის მეთქი, ხომ გითხარი.
რომ ვერ ჩააბარო!

— ჩააბარეს თუ ვერ ჩააბარეს, მავსაც
გამოვიკეთებ, ან კომისიის დავაბრალდებ, ა
ინსტიტუტის დირექტორს. მანდდენა მურ
მართი კიდე გამოვა... და განა მარტე
პურმაროლო?

უცნასკნელმა საუბარმა სრულიად გამო-
მაფხიზლა. გავსი საუკლავი მასპინელის
მოსამართლის დასაბრალდო წერილი
ტექსტს გავდგინდი და გუნებაში ვეფერბოდი.
ერთ წუწინას, ჩამდენი კაცის სახ
ლის გატებზე შეტრია!

8. ივანეშვილი

უცხო ორივე მარტინს დააშტერდა, მისგან ელო-
დნენ პასუხს.

—თავს გეფიცებით, —დაიწყო მარტინმა, რომელ-
მაც უკვე კვლავ დაიბრუნა ჩვეული სიმშვიდე. —თავს
გეფიცებით, ვერაფერს გიპასუხებთ, რადგან...

—კმარა! — შეჰყვირა პოლკოვნიკმა და მისხანედ
გადახედა თავის სამხედრო კორესპონდენტს, —მაშ თქვენ
არც კი გაგიგონიათ ჯეფერსონ ბრიკის სახელი? მაშ
თქვენს დღეშიაც არ გინახავთ „ჩხუბისთავის“ რომელი-
მე ნომერი? მაშ თქვენ არც ის იცით, როგორ ახანზა-
რებს მისტერ ჯეფერსონი ევროპის კაბინეტებს? ასეა?

—სწორედ ასე გახლავთ. —თქვა მარტინმა.

—უფუფუფუფა! ხედავ ბრიკ, რა ცივი ხალხია
ეს ევროპელები? აჰ, ევროპელებო! —პოლკოვნიკი
წამოიჭრა მაგიდიდან და ღვინო გამოიტანა. —აბა, დავ-
ლიოთ, —განაგრძო მან, —მისტერ ჯეფერსონ ბრიკი
სადღეგრძელოს იტყვის, —პოლკოვნიკმა ჯერ თავისი
კიჭა შეივსო, მერე მარტინისა და ბოთლი ჯეფერსონს
გადასცა.

—ნება მიბოძეთ, სერ, შეესვა „ჩხუბისთავისა“ და
მის მესვეურთა სადღეგრძელო. —წამოიძახა სამხედრო
კორესპონდენტმა. —გაუმარჯოს კემპარტების წყაროს,
რომლის წყალი თუმცა შავია სტამბის საღებავების-
გან, მაგრამ მაინც საკმაოდ გამჭვირვალე: მასში ჩემი
ქვეყნის მომავლის ანარეკლი მოჩანს.

—მომისმინეთ! მომისმინეთ! —ოჩინიანდ დაიყვირა
პოლკოვნიკმა და კიჭა ასწია, —მისტერ ბრიკისთანა
შესანიშნავ კაცს მეორეს ვერ ნახავთ ქვეყანაზე, —გადა-
უჩურჩულა მან მარტინს და მერე ხმაშლით განაგრ-
ძო, —ინებეთ დღევანდელი „ჩხუბისთავის“ ნომერი. იქ
თქვენ იხილავთ კაცობრიობის ცივილიზაციისა და მო-
რალური სიწმინდის გულშემატკმელ ჯეფერსონ ბრიკს...

როცა მარტინმა გვერდზე გადადო გაზეთი, პოლ-
კოვნიკი და მისტერ ბრიკი უკვე მესამე ბოთლსა სცილი-
დნენ.

—რას იტყვით, მოგეწონათ გაზეთი? —თვითდაჯე-
რებული ღმილით შეეკითხა მისტერ ჯეფერსონ
ბრიკი.

—ნება მიბოძეთ, გკითხოთ, —თქვა მარტინმა მცირე
დუმილის შემდეგ, —ხშირად ბეჭდავს თქვენი პრესა
ასეთ სიყალბეს? თითხნით რაღაც წერილებს და ირ-
წმუნებით, თითქოს მართლაც მომხდარიყოს ასეთი
რამ.

—როგორ გითხრათ. ზოგჯერ ასეც ხდება. —უპა-
სუხა პოლკოვნიკმა.

—მერე თქვენი მკითხველები? ისინი რას ამბობენ?

—ყიდულობენ ასეთ გაზეთებს, —უპასუხა მისტერ
ბრიკმა.

—ყიდულობენ ასიათასობით ცალს, —დაასვენა
პოლკოვნიკმა, —ჩვენ მოქნილი ხალხი ვართ. დიდად
ვაფასებთ მოქნილობას.

—ყალბი წერილების შეთითხნა ამერიკულად მოქ-
ნილობას ნიშნავს?

—რაღა გნებავდეთ ის შეარქვით, —თქვა პოლკოვ-
ნიკმა, —ერთი რამ კი ცხადია, ყალბი საბუთების შედ-
გენა ჩვენ არ გამოგვიგონია, იგი ძველმა ქვეყანამ გვი-
ანდერძა. გაიცხებთ ისინი, ჩვენთან რა გინდათ? მორ-
ჩა. ახლა კი კეთილინებეთ და შენობა გაათავისუფ-
ლეთ. კარებს დაკეტეთ და წადიდეთ.

ასეა იყო, რომ თვითდაჯერებული და თავისი
თავით კმაყოფილი პოლკოვნიკი დაივიწყა არც კი და-
უდევდა, თუ რას იტყვოდა მასზე მარტინი ან სხვა
კინემ. იგი საქონელს ამზადებდა გასასყიდად და ასა-
ღებდა კიდეც. სხვა არა აწუხებდა რა, ათასობით მკი-
თხველებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ უფრო გონიერუ-
ლად გამოეხატათ თავიანთი ალტაცება და ლაფში
ამოესვარათ პოლკოვნიკი, მაგრამ ეს იმას ემგვანებოდა,
ვინმე გაუზაღდარს მზარეულსთვის გადაებრალებინა
თავისი ღირსეულობა. პოლკოვნიკის ისე არაფერი
გახანგრძლივდა, როგორც იმისი განცხადება, რომ არც
ერთ მის მსგავს კაცს, არც ერთ ქვეყანაში არ უსარ-
გებდია ასეთი პატივისცემითა და წარმატებით. იგი
ამას ხსნიდა ამერიკის განსაკუთრებული ეროვნული
ხასიათით და თავისი ალღოიანი მუშაობით.

ბოლდვეის ქუჩით ერთი მილი გაიარეს. გზაში
მისტერ ბრიკმა განაცხადა ასეთ ქუჩას მსოფლიოში
მეორეს ვერ ნახავთ. მერე მიადგნენ ერთ უხეირო
ახლს, რომლის კარებზედაც თუნუქის აბრა იყო გაკ-
რული წარწერით: „პოუკინსი“. პოლკოვნიკი შეუძღვა

მათ უცნაურად მოწყობილ დიდ ოთახში, რომელშიაც
ოთხი ცივი კედლის, ტერის, დაფლეთილი ხალხის,
გრძელი მაგიდისა და ჭოგალაღი დაწული სკამის მე-
ტი არა იყო რა. ამ სადარბაზო ოთახის ერთ კუთხე-
ში ბუხარი იყო გამოტყრილი, რომლის ორივე მხარეს
უხარბაზარი საფურთხეებზე დაედგათ. ბუხრის პი-
რას, სკამზე ერთი შლაპიანი ბრტყე ჯენტლმენი კანა-
ობდა და იმით ირთობდა თავს, რომ ხან მარჯვენა
საფურთხეებზე და ხან მარცხენაში.
ჯენტლმენი ისე იყო გართული ამ უაღრესად დიდი
ინტელექტუალური საქმიანობით, რომ ვერც კი შენი-
შნა ოთახში შემოსული სტუმრები. როცა პოლკოვნი-
კი ბუხარს მიუახლოვდა და მარცხენა საფურთხეებზე
თვითონაც დაუმატა თავისი წილი, მხოლოდ მაშინ
შესწყვიტა პოუკინსმა საფურთხეების სროლა, მოიხე-
და და თქვა:

—აჰ, თქვენა ხართ პოლკოვნიკო?

—ინგლისელი ჯენტლმენი მოგიყვანეთ, მაიორო, —
მიუგო პოლკოვნიკმა დაივერმა, —გადაწყვეტილი აქვს
თქვენსა დარჩეს, ფასისა თუ არ შეეშინდა.

—დიდად გამიხარდა სერ, თქვენი ნახვა. ვიმედოფ-
ნებ თავს კარგათ გრძნობთ! —თქვა მაიორომ და მარ-
ტინს ხელი გაუწოდა.

—ძალიან კარგათ გახლავართ სერ, —უპასუხა
მარტინმა.

—ახლა კი მართლაც ჩინებულად იგრძნობთ თავს,
აქ თქვენ იხილავთ ნამდვილ მხეს.

—მე მგონი სამშობლოში ხშირად ვხედავდი
მხეს. —გაიღიმა მარტინმა.

—მე კი მგონია, რომ არა. —ისე მძაფრად წარმოსთ-
ქვა ეს მაიორომ, რომ შეგაშთებდა შეუძლებელი იყო.
მაიორის მეტისმეტად გრძელი თავისკალა და უშე-
ველებელი, ყვითელი შუბლი სამიკიტნების და ბარე-
ბის სტუმრებს უფლებას აძლევდა ეფიქრათ, რომ იგი
დიდი ბრძენი იყო. მისტერ ბრიკმა მარტინს გადაუ-
ჩურჩულა:

—ჩვენი ერთ-ერთი დიდად გამოჩენილი მამული-
შვილია, სერ!

მაიორი უდიდესი პოლიტიკოსი და პატრიოტი,
ხოლო კომერციულ საქმეებში განთქმული ყალბაბან-
დი იყო. შეეძლო თორმეტი საათი მჯდარიყო ბარში,
ესეა, თამბაქო ეღებნა და ემსჯელნა ეროვნულ საკით-
ხებზე. ამ საქმეში მას ვერაფერი შეეძრებოდა და ამი-
ტომაც განთქმული კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.
მაგრამ ადამიანის კეთილდღეობა ყოველთვის როდია
დამყარებული მის პატრიოტულ ერთგულებაზე. ხან-
დახან ყალბაბანდობა და გაიძვრობაც არ გადის
ხოლმე კაცს: მაიორის საქმე ამემად ვერ მიდიოდა
მინიჭდამინიც კარგად. ამის გამო ცოლი იძულებული
გახდა სახლში სასტუმრო მოეწყო.

—უდიდესი კომერციული დაცემულობის პირო-
ბებში გვესტუმრეთ, სერ. —დაიწყო მაიორომ.

—შემაჯავებელი კრიზისის დროს, —განაგრძო
პოლკოვნიკმა.

—მეტად მძიმე ვითარებაში, —დაასვენა მისტერ
ჯეფერსონ ბრიკმა.

—გწუხვარ და თან ვიმედოვნებ დიდხანს არ გას-
ტანს ეს კრიზისი, —თქვა მარტინმა.

—რა თქმა უნდა, მე დარწმუნებული ვარ მალე
დავალწევთ თავს. —აღნიშნა მაიორომ.

—ჩვენი ქვეყანა მოქნილი გახლავთ. —დაუმატა
„ნიუ-იორკელმა ჩხუბისთავმა“.

—ჩვენ ღომის ბოკვერი ვართ, —წარმოსთქვა მის-
ტერ ჯეფერსონ ბრიკმა.

—ჩვენ საოცარი ენერგია გავაჩნია, —დაასვენა
მაიორომ. —სადილის წინ ცოტა არ გადავკრათ, პოლ-
კოვნიკო?

ამ მოსაზრებაზე პოლკოვნიკმა თავისი მზადყოფნა
გამოიჩინა...

ბარიდან დაბრუნებისას მარტინი მისტერ ბრიკს
მიჰყვებოდა მხარდამხარ, პოლკოვნიკი და მაიორი კი
მათ მიუძღოდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ხარის
ხმა შემოესმათ. დაფეთებული პოლკოვნიკი და მაიორი
ცოფიანებით შევარდნენ სახლში. მისტერ ბრიკმაც
არ დააყოვნა, მარტინს მოშორდა და უცებ გაქრა.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ხანძარი გაჩნდა? —გაიფიქ-
რა მარტინმა.

მაგრამ არც კვამლი მოჩანდა, არც ცეცხლის ალი.
უცებ-საშუა ჯენტლმენმა ჩაუჭოლა მარტინს. მათაც
დაფეთებული სახე ჰქონდათ და მაიორის სახლისკენ
გარბოდნენ. ცნობისმოყვარეობამ სძლია მარტინს, ფე-

ხი ააჩქარა, მაგრამ გზიდან კინაღამ გადაადგო ოთხი
ცოფიანებით გამოქანებული ჯენტლმენი. ისინი
არც კი შეჩერებულან —პირდაპირ შევარდნენ მაიორის
სახლში.

—რა ამბავია, სად არიან? —შესძახა სუნთქვაშეკ-
რულმა მარტინმა მოსამსახურე ხანგს.

—სასადილო ოთახში, ბატონო, თქვენთვის პოლ-
კოვნიკმა თან წაიღო სკამი.

—სკამი? —იკითხა გაკვირვებულმა მარტინმა.

—ღიახ, სადილისათვის, ბატონო.

მარტინმა თვალები დააჭყიტა და გადაიხარხარა.
სადილს უკვე ათავებდნენ, პოლკოვნიკს თავი არც კი
აუღია ისე გაუწოდა სკამი. დანა-ჩანგლები უჩვეულო
სიმაღლით მოთარაობდნენ. ხმას არავინ იღებდა, ქამ-
დნენ გაშალბით, თითქოს მთელი დღეები ემშვილათ.
მარტინმა შენიშნა, რომ მაგიდას უსხდნენ: ოთხი მაი-
ორი, ორი პოლკოვნიკი, ერთი გენერალი და კაპიტა-
ნი. ერთიც კი არ ვერა მათში უტიტულო: ვისაც სა-
მხედრო წოდება არ გააჩნდა, იგი ან ეკიმი იყო, ან
პროფესორი, ან მსგავსი მისი. ქალთა შორის ჩამოშ-
მარა და არაქათამოღუღლი მისის პოუკინსი უფრო-
სობდა. მას განაწამები სახე ჰქონდა და ხშირად წარ-
მოსთქვამდა ხოლმე სენტეციებს ქალთა თანასწორუფ-
ლებიანობის შესახებ. სხვა ქალები ხასიათითა და
კეთილ ისე წაგავდნენ ურთერთს, რომ თავისუფლად
შეეძლოთ ტვინი გადაეცვალათ ერთმანეთისათვის: სუ-
ლერთია, ამას ვერაფერ შენიშნავდა.

ნასადილეს გაიმართა საუბარი, რომლის მთავარი
თემა ერთი სიტყვით შეიძლება გადმოიცეს: დოლა-
რები! ყოველგვარი საზრუნავი, იმედი, სიხარული,
მოვალეობა, სათნოება, მეგობრობა უცნაური ძალით
გადაწოდა დოლარებს. ყველაფერი დოლარების ირგე-
ლივ ტრიალებდა. ხალხს დოლარებით ზომავდნენ, დო-
ლარით აფასებდნენ ადამიანის ღირსებას. ცხოვრება
დოლარებით ფასდებოდა და დოლარებზევე იყიდებოდა.
დოლარებს შემდეგ პატრებსა სცემდნენ მხოლოდ იმ თვი-
სებებს, რითაც დოლარის მოპოვება შეიძლება. რაც
უფრო მეტ პატრონებასა და სათნოებას გადაყრიდა
კაცი თავის კეთილი მიზნებისა და კეთილშობილების
გემიდან, მით უფრო მეტი ადგილი დარჩებოდა მას
დოლარების დასაგროვებლად. კომერცია გაიძვრობა-
სა და მსხვილ ქურდობაზე იყო დაფუძნებული.

ქუჩიანი ჩვრით შესცვალეთ სახელმწიფო დროშა,
გააშვეთ მასზე გამოსახული ვარსკვლავები, ნაფლეთე-
ბად დაგლიჯეთ, დოლარებისთვის ნურაფერს ნუ მო-
ერიდებით! ახი რას წარმოადგენს დროშა ამ პატრი-
ოტებისათვის? ყველაზე დიდი პატრიოტი იგია, ვინც
მეტს ყვირის და ჩხუბობს, ვინც ნაკლებ ყურადღებას
აქცევს სამშობლოს ღირსების დაცვას. მათი იდეალია
ისეთი კაცი, რომელიც დოლარების მოსაპოვებლად
ყოველგვარ სისაძაღლეს ჩადის და გაიძვრობისა არც
კი სცხენია. ხუთი წუთის განმავლობაში უსმენდა მა-
რტინი მათ და გაიგო, რომ საკანონმდებლო ორგანო-
ებში ამოღებული რეგულაციით შესვლა, ჯიხში დამა-
ლული ხმლის ტარება და სხვა მრავალი ასეთი თა-
ვისშემეცვენი მოქმედებანი —ჩხუბი, აყალბაყალი, არგე-
დარევა, მოკამათისათვის ყელის გამოჭრა —მათ თვალ-
ში მამაცობის ბრწყინვალე ნიმუში ითვლებოდა.

რამდენჯერმე შეეკითხა მათ დანტერესებული მა-
რტინი ამერიკულ პოეტებზე, თეატრებზე, ლიტერა-
ტურასა და ხელოვნებაზე. ამ ჯენტლმენების პასუხი
ვერასოდეს ვერ გაცდა პოლკოვნიკ დაივერის, მაიორ
პოუკინსის და მისტერ ჯეფერსონ ბრიკის უნიჭო სტა-
ტიებს. ეს იყო მათი უმაღლესი პოეზია და ხელოვნება.
—ჩვენ მოუცლელი ხალხი ვართ, სერ. სადა
გვაქვს დრო ყოველგვარი სისულელე ვიკითხოთ. ჯან-
დაბას ყოველი წიგნი!

გენერალს ტვინი კინაღამ ელრძო იმის გაფიქრება-
ზე, რომ მართლაც შესაძლებელი იყო კომერციული
ცნობების გარდა, კაცს სხვა რამეც წავიკითხა. მან სა-
ჩქაროდ განაცხადა: —ჯენტლმენებო, არ დაგლოთ?

ჯენტლმენებმა სიამოვნებით მიიღეს ეს ბრძნული
წინადადება და ბარისკენ გასწვიეს. აქედან, ალბათ,
თავიანთ დუქნებსა და კონტრაქტისკენ გასწვიენ, მე-
რე კვლავ ეწვევიან ბარს, ერთხანს ისევ იოცნებებენ
და იხებდნენ დოლარებზე, საღამოთი შინ დაბრუნდე-
ბიან და ხვრინვას ამოუშვებენ.

„აი, როგორ ატარებენ აქ დროს“ —გაიფიქრა მარ-
ტინმა და კვლავ დოლარები გაახანდა. —„ნუთუ მარ-
თლაც ასე მოუცლელნი არიან“ —მარტინმა მძიმედ
ამოიოხრა.

ერთხელ ჟიურ მასნესთან მივიდა ახალგაზრდა კომპოზიტორი და სთხოვა მოესმინა მისი ოპერა.

ახალგაზრდამ თავის თხოვნას მოკრძალებით დასძინა:

— თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ, მაესტრო, რომ მოლიერი თავის ახალ პიესებს უკითხავდა ერთ დედაბერს და ფიქრობდა, რომ სცენები, რომელსაც დედაბერი მოიწონებდა, საზოგადოებასაც მოეწონებოდა, მომისმინეთ და რაც თქვენ მოგეწონებათ — მაყურებელსაც მოხიბლავსო.

— ძალიან თავაზიანი ხართ, — მიუგო ლიმიტით მასნემ, — მაგრამ მაინც ვიდრე მოლიერი არ გახდებით, არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდები თქვენთვის იმ დედაბრის როლის შესრულებას.

ნაადრევი სიხარული

ერთხელ ჰერცოგმა კოზიმო მედიჩიმ, რომელიც მოქანდაკეობას იჩემებდა, გამოაქანდაკა მითოლოგიური ღმერთი ნეპტუნი და ფლორენციის მთავარ მოედანზე დაადგმევინა. ამის შემდეგ იგი შეხვდა მიქელ ანჯელოს და შეუკითხა:

— რა გრძნობებს იწვევს შენში ჩემი ქანდაკება?

— რელიგიურს. — უპასუხა დიდმა მოქანდაკემ.

— რატომ რელიგიურს? — შეუკითხა გახარებული მედიჩი.

— იმიტომ თქვენო ბრწყინვალე, რომ ყოველთვის, როცა კი თქვენს ქანდაკს შევხვდავ, მხურვალედ შევთხოვ უფალს გააპტიოთ ასეთი მშვენიერი მარმარილოს გაფუჭება.

უმაღესო

ერთხელ ინგლისელი დრამატურგი კომბერენდი შეხვდა ცნობილ კომედიოგრაფს შერიდანს და უთხრა:

— გუშინ ვუყურე თქვენს ახალ კომედიას და წარმოიდგინეთ, ერთხელაც არ გამეცინა.

— უმაღური კაცი ჰყოფილხართ, — მიუგო შერიდანმა, — გუშინ მე ვუყურე თქვენს ტრალედიას და თავიდან-ბოლომდე ვხარხარებდი.

წიგნი

დაცხა. ხალხი აგარაკებისკენ გაიქროფა, მრავალი ოჯახის „ქალ-ბაღანამ“ ჩრდილს და ჰაერს მიაშურა. მაგრამ არც თბილისში დარჩენილნი არიან უჩრდილოდ მიტოვებულნი.

რამდენი მშვენიერი ბაღი გვაქვს, რამდენი ყვითლმოყვითილი პარკი და რესტორანი, მიბრძანდით, გაიარ-გამოიარეთ, ჩრდილი იჩრდილეთ და „ხილი იხილოთ“. ეს იგი ჰაერით რომ დასტკბებით, რესტორანში შეუხვებით. ეს შეიძლება ბევრგან, მაგრამ უფრო აჯობებს, ვთქვათ, ფუნიკულორის პლატოზე.

აი, თქვენ უკვე შეხვედით აქ, მშვენიერ რესტორანში. უმაღლე მომტანის ყურადღების ბადეში გაეხვით და ასეთი დიალოგი დაიწყო:

— რა მოგართვათ, ბატონო!

— რა გაქვთ?

— რაც გნებავთ... გვაქვს ცივი და ცხელი საუზმე, ჩაგრილებული სასმელებით და მწვანე მწვანით, შეგვიძლია შეგვიწვთ მწვადი, მოგართვით წიწილა ტყეშილი. — ამბობს იგი და თვალეში შემოგვცქერით.

— შეგვიწვით სამი წიწილი, — თან მენიუში იტყობით, რომ შემდეგ არ იხანოთ მაღაში მოსული წამოძახილი და ნელ-ნელა შეიძვეით ცივ ლუდს, ან ღვინოს.

ცხადია, არჩევანი თქვენს სურვილზეა! რამდენიმე წუთის შემდეგ თქვენ მიირთმევთ შეკვეთილ კერძს, სვამთ სადღეგრძელს და თან სიამოვნებით გადმოჰყურებთ გაჩრდილდებულ დედაქალაქს. და ყველაფერი ეს ჩინებულია, მომხიბლავი. მაგრამ ბოლოს! დგება თქვენი ყურადღების კულმინაციური დაბადის

ჟამი და თქვენს წინ არასასურველ ინსტრუმენტზე გაისმის არასასიამოვნო ჩხაკანი. თქვენ გაოცებული შესცქერით ბალანსის ჯამს და შეიძლება, სახესე არასასურველმა ფერმაც გადაგყრათ. ბოლოს იძულებული ხართ თავი დაიკავთ შემტევვისაგან და შემკრთალი ტონით იწყებთ ახალ დიალოგს:

— კი მაგრამ, თქვენ სთქვით, წიწილა ღირს ხუთი თუმანიო, ეგ რვა თუმანი საიდან მომიტანეთ? — ეუბნებით მიმტანს.

— მართალია ბატონო, მაგრამ ჩვენი წიწილები სხვადასხვა ჯიშისაა, რომელიც ღირს ხუთი, ექვსი და რვა თუმანი და მეტიც კი თქვენ მიერ მირთმეული წიწილები საუკეთესო ჯიშისა იყო, წიწილები კი. არა ნამდვილი ვარიეტები და ყვინჩილები იყო! — ერთი სიტყვით მომტანის სიტყვიდან თქვენ არკვეთ, რომ თქვენთვის მორთმეული ვარიეტა კვერცხ-დასადებ სიმღერას სწავლობდა, ხოლო რაც შეეხება ყვინჩილას, იგი უკვე საკმაოდ სახელმწიფოებრივი მოვლერაღი იყო.

— სამჯერ რვა — ოცდაათია, ბატონო და დანარჩენიც... — ამთავრებს ბალანსის გამომყვანი მომტანი.

— კი მაგრამ, შეკვეთამდე თქვენ ხომ სთქვით მისი ფასი ხუთი თუმანიაო?

— მართალია, მაგრამ პატივი გეცით და მოზრდილები მოგართვათ...

ეს კი ისეთი არგუმენტია, რომლის საპასუხოდ თქვენ ცივად მიგაქვთ მარჯვენა ხელი საფულის ამოსაღებად, ხოლო მარცხენით ცივ ოფლს იწმენდთ. ასე ამგვარად შესანიშნავად გატარებული საღამო, თურმე, შეიძლება ერთმა, გაურკვეველი გვარის წიწილამ ჩაგამწაროთ. რას იზამთ, სიცხის ბრალია!

კ. გელათელი



— რად უნდა ჩვენს ვეტერინარს ამდენი ფრინველები, უნდა უმკურნალოს?

— არა, ქალაქიდან უფროსს მოეღოს.

პროფესიონალის შენიშვნა

ზოგიერთი დასასვენებელი სახლის შტატი ძალიან გაბერილია
ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— ხაკვირველი ხალხია ეს დამსვენებლები, ერთი თვეთ ჩამოდიან და მაშინაც არ იხვენებენ!



— ამას მითვლიან დანაკარგად? საკვირველია, ღორის და ქათმის ხორცი პურზე ნაკლები მოსახმარი საქონელია?!

საგამდამო კოლეგია: ი. ზარიშხვილი, პაპლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. შაშაღიშვილი, ვკ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

დამოკ. 1948 წ. 28/VII. ტექსტი აწუბილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ლენინის. № ქ. 28. დაბეჭდილია ოფსეტ მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში, თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 57 შვკ. № 1108 ტირ. 7600 უფ 10635